აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 05 დეკემბრის N-407 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ შესწავვლის შედეგად ყოფილი 25-ე და 53-ე ბატალიონის ტერიტორიაზე („ოცნების ქალაქი“) გამოვლენილია:

1. სტიქიის შედეგად დაზარალებული 17 ეკომიგრანტი ოჯახი, რომლებიც დარეგისტრირდნენ ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში“ ,,ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთო საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ჩართვის მიზნით და მათი დაკმაყოფილება განხორციელდება პრიორიტეტულობის ქულების გათვალისწინებით.

2. სტიქიის შედეგად დაზარალებულ 13 *არაეკომიგრანტი* ოჯახი, რომელთა საცხოვრებელი სახლები გეოლოგიური დასკვნების თანახმად ექვემდებარება ადგილზე აღდგენა/გამაგრებას. მათი დახმარების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებში გადაიგზავნა შესაბამისი რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე შეჭრილ სტიქიით დაზარალებულთაგან 6 ეკომიგრანტ ოჯახს უკვე გაეწია დახმარება. კერძოდ:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრსა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს შორის 2014 წლის თებერვალში გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ,ე.წ. ,,მუყაოს“ ქალაქში მცხოვრებ 2 ეკომიგრანტ ოჯახს შეესყიდა საცხოვრებელი სახლი.
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ეკომიგრანტთა უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ე.წ. ,,მუყაოს“ ქალაქში მცხოვრებ 1 ეკომიგრანტ ოჯახს პროგრამის ფარგლებში შეუსყიდა საცხოვრებელი სახლი.
- ✓ ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის'' რეკომენდაციით ე.წ. ,,მუყაოს“ ქალაქში მცხოვრები 3 ეკომიგრანტი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით.

დღეის მდგომარეობით, კომისია აღნიშნულ ოჯახებთან დაკავშირებით აგრძელებს მუშაობას.

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო